

დედოფლისწუარო "Mini Dinn"
საქართველოს ბანკი

ელექტრო ტექნიკური ნაწილის პროექტი

თბილისი

2025

№	საპროექტო დოკუმენტაციის ჩამონათვალი	დღე		12	18	31	31		
		თვე		3	3	3	3		
		წელი		25	25	25	25		
		მ	ფ	A	B	B	C	D	
MG-2504-EL-000	ნახაზების ჩამონათვალი	X:XX	A4	X	X	-	X		
დოკუმენტაცია									
MG-2504-EL-001	განმარტებითი ბარათი	X:XX	A4	X	X	-	-		
MG-2504-EL-002	მასალათა ჩამონათვალი	X:XX	A4	X	X	-	X		
MG-2504-EL-004	დატვირთვების ცხრილი	X:XX	A3	X	-	X	-		
სტრუქტურები									
MG-2504-EL-010	ძალოვანი ნაწილის სტრუქტურული გეგმა	X:XX	A3	X	-	X	-		
MG-2504-EL-019	IT რეკის სტრუქტურული გეგმა	X:XX	A3	X	X	-	X		
ფარები და კომუნიკაციები									
MG-2504-EL-101	ფარები და კომუნიკაციები 0 სართულზე	1:50	A2	X	-	X	-		
MG-2504-EL-102	ფარები და კომუნიკაციები 1 სართულზე	1:50	A2	X	-	X	-		
როზეტების ქსელი (გეგმები და საკაბელო ჟურნალები)									
MG-2504-EL-201	როზეტების ქსელი 0 სართულზე	1:50	A2	X	-	X	-		
MG-2504-EL-202	როზეტების ქსელი 1 სართულზე	1:50	A2	X	-	X	-		
განათების ქსელი (გეგმები და საკაბელო ჟურნალები)									
MG-2504-EL-301	განათების ქსელი 0 სართულზე	1:50	A2	X	-	X	-		
MG-2504-EL-302	განათების ქსელი 1 სართულზე	1:50	A2	X	-	X	-		
მექანიკური ნაწილი (გეგმები და საკაბელო ჟურნალები)									
MG-2504-EL-401	მექანიკური ნაწილი 0 სართულზე	1:50	A2	X	-	X	-		
MG-2504-EL-402	მექანიკური ნაწილი 1 სართულზე	1:50	A2	X	-	X	-		
MG-2504-EL-403	მექანიკური ნაწილი სახურავის სართულზე	1:50	A2	-	-	X	-		
საევაკუაციო განათების ქსელი (გეგმები და საკაბელო ჟურნალები)									
MG-2504-EL-501	საევაკუაციო განათების ქსელი 0 სართულზე	1:50	A2	X	-	X	-		
MG-2504-EL-502	საევაკუაციო განათების ქსელი 1 სართულზე	1:50	A2	X	-	X	-		
IT სისტემა (გეგმები და საკაბელო ჟურნალები)									
MG-2504-EL-901	IT სისტემა 0 სართულზე	1:50	A2	X	-	X	-		
MG-2504-EL-902	IT სისტემა 1 სართულზე	1:50	A2	X	X	-	X		
ფარების ცალხაზა სქემა									
MG-2504-EL-1001	GMDB.1 გამ. ფარის ცალხაზა სქემა	X:XX	A4	X	-	X	-		
MG-2504-EL-1002	MDB.1 გამ. ფარის ცალხაზა სქემა	X:XX	A4	X	-	X	-		
MG-2504-EL-1003	UDB.1 გამ. ფარის ცალხაზა სქემა	X:XX	A4	X	-	X	-		

დედოფლისწუარო „Mini Dinn“

პროექტის დასახელება: დედოფლისწყარო „Mini Dinn“

მისამართი: ქ. დედოფლისწყარო

დამკვეთი: საქართველოს ბანკი

—

დედოფლისწყარო. საქართველო

შემსრულებელი: შპს „მონტაჟ ჯორჯია“

—

დედოფლისწყარო. საქართველო

ელ. ძალოვანი ნაწილის განმარტებითი ბარათი, სპეციფიკაცია

[illegible]

სარჩევი

1	შესავალი.....	4
1.1	ზოგადი ინფორმაცია.....	4
1.2	ობიექტის აღწერილობა.....	4
1.3	ქსელის პარამეტრები.....	4
1.4	შემომავალი კვება.....	5
2	დიზელ გენერატორი.....	6
2.1	სამუშაოთა მოცულობა.....	6
2.2	ხარისხის გარანტია.....	6
2.3	სისტემის აღწერილობა.....	6
3	უწყვეტი დენის წყარო (UPS).....	8
3.1	სამუშაოთა მოცულობა.....	8
3.2	ხარისხის გარანტია.....	8
3.3	სისტემის აღწერილობა.....	8
4	მთავარი გამანაწილებელი ფარი/დაბალი ძაბვის პანელები.....	9
4.1	სამუშაოთა მოცულობა.....	9
4.2	ხარისხის გარანტია.....	9
4.3	სისტემის აღწერილობა.....	9
5	კაბელსატარები და საკაბელო სისტემები.....	11
5.1	სამუშაოთა მოცულობა.....	11
5.2	ხარისხის გარანტია.....	11
5.3	სისტემის აღწერილობა.....	11
5.4	პროდუქცია.....	12
5.5	შესრულება.....	12
6	მავთულები და კაბელები.....	13
6.1	სამუშაოთა მოცულობა.....	13
6.2	ხარისხის გარანტია.....	13
6.3	აღწერილობა.....	13
6.4	კაბელების დაცვა.....	13
7	საკაბელო მიწები, კოლოფები, აქსესუარები.	14
7.1	სამუშაოთა მოცულობა.....	14
7.2	ხარისხის გარანტია.....	14

პროექტის დასახელება: დედოფლისწყარო „Mini Dinn“

მისამართი: ქ. დედოფლისწყარო

7.3	პროდუქცია.....	14
8	სანათები.....	16
8.1	სანათები.....	16
9	სუსტი დენები	17
9.1	საინფორმაციო ქსელი.....	17

1 შესავალი

1.1 ზოგადი ინფორმაცია

1.1.1 სპეციფიკაციის ნაწილი მოიცავს მასალა დანადგარების აღწერილობას. ერთეულები, ზომა/წონები და რაოდენობები იხილე მასალათა რაოდენობაში.

1.2 ობიექტის აღწერილობა

1.2.1 საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. დედოფლისწყაროში.

1.2.2 საპროექტო ფართი ფუნქციონალურად წარმოადგენს საოფისე შენობას.

1.2.3 შენობა არის ორსართულიანი. საპროექტო ფართი განთავსებული მე-1 და მე-2 სართულზე.

1.3 ქსელის პარამეტრები

1.3.1 კატეგორია

კომპლექსის ელექტრომომხმარებლები დაყოფილია კატეგორიებად ელექტრო ენერგიის მიწოდების მხრივ.

1.3.1.1 I კატეგორიის განსაკუთრებული ჯგუფი (შეუფერხებელი კვება)

- საევაკუაციო განათება
- სახანძრო მაუწყებლობის სისტემა.
- ვიდეო მეთვალყურეობის სისტემა
- სერვერები.
- საოფისე ტექნიკის ნაწილი.
 - პერსონალური კომპიუტერები

1.3.1.2 I კატეგორია.

- საოფისე ტექნიკის ნაწილი.
- განათების ნაწილი

1.3.1.3 III კატეგორია

- სავენტილაციო დანადგარები
- მექანიკური სისტემის მომხმარებლები.

1.3.2 ქსელის პარამეტრები

დადგმული სიმძლავრე - 75,3 კვტ.

მოთხოვნილი სიმძლავრეა - 60,2 კვტ.

პროექტის დასახელება: დედოფლისწყარო „Mini Dinn“

მისამართი: ქ. დედოფლისწყარო

გენერატორი - 75 კვა.

ძაბვის პარამეტრები

- ძაბვა 400/230ვ.
- სიხშირე 50გ.
- მაქსიმალური დასაშვები ძაბვის ვარდნა 5%.

ქსელი TN-S (L1, L2, L3, N, PE).

1.4 შემომავალი კვება

- 1.4.1 მოცემული პროექტი არ მოიცავს შემომავალი ძაბვის არანაირ დოკუმენტაციას. ძაბვის მოწოდებასა და აღრიცხვის კვანძის მოწყობას უზრუნველყოფს შენობის მეპატრონე.

2 დიზელ გენერატორი

2.1 სამუშაოთა მოცულობა.

2.1.1 მოცემული ნაწილი ითვალისწინებს, დამზადებას, ქარხნულ ტესტირებას, მარკირებას, შეფუთვას, ტრანსპორტირებას, ობიექტზე მოწოდებას, შენახვას, მონტაჟს, ექსპლუატაციაში გაშვებას და გადაცემას დამაკმაყოფილებელ საექსპლუატაციო პირობებში, შენობის გარეთ გამოყენების მიზნით.

2.1.2 გამარჯვებულმა კონტრაქტორმა უნდა წარმოადგინოს დეტალური ტექნიკური სპეციფიკაცია, ტექნიკური გეგმები, ტესტირების გრაფიკები და პროცედურები, სექციური დეტალური ნახაზები გენერატორის მიერთებებისათვის.

2.2 ხარისხის გარანტია

2.2.1 საკონტრაქტო დოკუმენტაციის მოთხოვნების დაკმაყოფილების პირობით, მისაღებ მწარმოებლებს უნდა წარმოადგენდნენ ის კომპანიები, რომლებიც რეგულარულად ჩართულნი არიან მოცემულ ნაწილში ჩამოთვლილი ყველა ტიპისა და ზომის მასალების წარმოებაში, და რომელთა პროდუქციაც წარმატებით გამოიყენება მსგავს საექსპლუატაციო პირობებში არანაკლებ ათი წლის განმავლობაში.

2.3 სისტემის აღწერილობა

2.3.1 ალტერნატიულ დენის წყაროს წარმოადგენს ერთი ცალი დიზელ გენერატორი.

2.3.2 დიზელ-გენერატორი გამოიყენება ავარიული ელექტრომომარაგებისთვის და უზრუნველყოფს შენობის ყველა სისტემებს.

2.3.3 დიზელ გენერატორის პარამეტრები

- სიმძლავრე 75 კვა
- ძაბვა 400/230 ვ
- სიხშირე 50 ჰერცი

2.3.4 დიზელ-გენერატორები აღჭურვილი უნდა იყოს ავტომატიზაციის ხარისხის მინიმუმ III საფეხურით. თანახმად ГОСТ 14228-80 და უნდა ირთვებოდეს ელექტრომომარაგების ორივე გარე წყაროს შეწყვეტის ან ელექტროენერგიის ხარისხის პარამეტრების დაშვებული ნორმების დარღვევის შემთხვევაში.

2.3.5 ელექტრომომარაგების გადასვლა გარე წყაროდან დიზელ-გენერატორზე და პირიქით უნდა ხდებოდეს ავტომატურად. ასევე შესაძლებელი უნდა იყოს ხელით გადართვაც. გადართვის სისტემა აღჭურვილი უნდა იყოს შემხვედრი დენის ჩართვის ბლოკირებით.

პროექტის დასახელება: დედოფლისწყარო „Mini Dinn“

მისამართი: ქ. დედოფლისწყარო

- 2.3.6 დიზელ-გენერატორის გარე ქსელთან პარალელური მუშაობა არ არის გათვალისწინებული.
- 2.3.7 დიზელ-გენერატორის მუშაობა მუდმივი მომსახურე პერსონალის გარეშე უნდა იყოს უზრუნველყოფილი.
- 2.3.8 გენერატორის გარსაცმი უნდა იყოს მეტალის ქარხნული შესრულების.
- 2.3.9 გენერატორის კორპუსი უნდა დამიწდეს და მიუერთდეს შენობის დამიწების კონტურს.
- 2.3.10 გენერატორი აღჭურვილი უნდა იყოს დიზელის ავზით, გამათბობლით, აკუმულიატორის ავტომატური დამტენით, ავარიის მაუწყებლით (ხმოვანი სიგნალი), ავარიული გათიშვის წითელი ღილაკით. ავზის მოცულობა უნდა უზრუნველყოფდეს გენერატორის მინიმუმ 8 საათის ფუნქციონირებას.

3 უწყვეტი დენის წყარო (UPS)

3.1 სამუშაოთა მოცულობა.

3.1.1 მოცემული ნაწილი ითვალისწინებს, დამზადებას, ქარხნულ ტესტირებას, მარკირებას, შეფუთვას, ტრანსპორტირებას, ობიექტზე მოწოდებას, შენახვას, მონტაჟს, ექსპლუატაციაში გაშვებას და გადაცემას დამაკმაყოფილებელ საექსპლუატაციო პირობებში, შენობის გარეთ გამოყენების მიზნით.

3.2 ხარისხის გარანტია

3.2.1 საკონტრაქტო დოკუმენტაციის მოთხოვნების დაკმაყოფილების პირობით, მისაღებ მწარმოებლებს უნდა წარმოადგენდნენ ის კომპანიები, რომლებიც რეგულარულად ჩართულნი არიან მოცემულ ნაწილში ჩამოთვლილი ყველა ტიპისა და ზომის მასალების წარმოებაში, და რომელთა პროდუქციაც წარმატებით გამოიყენება მსგავს საექსპლუატაციო პირობებში არანაკლებ ათი წლის განმავლობაში.

3.2.2 შემოთავაზებული მოწყობილობა უნდა აკმაყოფილებდეს ქვემოთ ჩამოთვლილი უახლესი სტანდარტების მოთხოვნებს EN 60950, EN/IEC 62040-2, EN/IEC 62040-3, ISO 14001, ISO 9001, LCIE, VFI-SS-111.

3.3 სისტემის აღწერილობა

3.3.1 UPS-სი განთავსებულია მთავარი გამანაწილებელი ფარის ოთახში.

3.3.2 UPS-სით ელ. მომარაგება გათვალისწინებულია:

- საოფისე ტექნიკის ნაწილისთვის.
- რეკებისთვის
- დაცვითი სისტემებისთვის.

3.3.3 UPS-ს აუცილებლად უნდა გააჩნდეს (SNMP) მოდული, რათა შესაძლებელი იყოს UPS-ის მონიტორინგი და მართვა ინტერნეტის საშუალებით.

3.3.4 UPS-ის პარამეტრები.

- სიმძლავრე 25კვა
- ძაბვა 400ვ
- სიხშირე 50 ჰერცი
- ხმაური 70 dBA – 1 მეტრში
- დაცვის კლასი IP 20
- სამუშაო პირობები
 - ტემპერატურა 0 – 35°C
 - ტენიანობა 20-80 %

4 მთავარი გამანაწილებელი ფარი/დაბალი ძაბვის პანელები

4.1 სამუშაოთა მოცულობა

4.1.1 მოცემული ნაწილი ითვალისწინებს, მთავარი გამანაწილებელი და სხვა შუალებური ფარების, დაპროექტებას, დამზადებას, ტესტირებას, შეფუთვას, ტრანსპორტირებას, ობიექტზე მოწოდებას, შენახვას, მონტაჟს, მარკირებას, ექსპლუატაციაში გაშვებას და გადაცემას დამაკმაყოფილებელ საექსპლუატაციო პირობებში, შენობის შიგნით და გარეთ გამოყენების მიზნით.

4.2 ხარისხის გარანტია

4.2.1 საკონტრაქტო დოკუმენტაციის მოთხოვნებთან შესაბამისობის პირობით, მისაღებ მწარმოებლებს უნდა წარმოადგენდნენ ის კომპანიები, რომლებიც სისტემატურად ჩართულნი არიან მოცემულ ნაწილში ჩამოთვლილი ყველა ტიპისა და ზომის მასალების წარმოებაში, და რომელთა პროდუქციაც წარმატებით გამოიყენება მსგავს საექსპლუატაციო პირობებში არანაკლებ ათი წლის განმავლობაში.

4.3 სისტემის აღწერილობა

4.3.1 კონტრაქტორმა უნდა დააპროექტოს და დაამონტაჟოს მთავარი გამანაწილებელი და სხვა შუალებური ფარები ადგილობრივი და საერთაშორისო სტანდარტების თანახმად. სპეციფიკაციებსა და საერთაშორისო სტანდარტებს შორის განსხვავების არსებობის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება უფრო მკაცრ მოთხოვნებს.

4.3.2 ფარები უნდა აიწყოს მხოლოდ პირველადი მწარმოებლის მიერ დამტკიცებული კომპანიის მიერ.

4.3.3 პანელების ამწყობს უნდა გააჩნდეს არანაკლებ 5 წლიანი გამოცდილება გამანაწილებელი მოწყობილობების აწყობის სფეროში.

4.3.4 ობიექტზე არსებული პირობები

4.3.4.1 მთავარი გამანაწილებელი ფარები უნდა მუშაობდეს, მინიმუმ, ქვემოთ მოცემულ გარემო პირობებში:

გარემო ტემპერატურა : 50°C

ფარდობითი ტენიანობა : 95% (50°C-ზე)

4.3.4.2 მთავარი გამანაწილებელი ფარი განთავსებულია შენობაში.

ფარი უნდა იყოს მეტალის, ქარხნული შესრულების.

მინიმუმ IP 30 შესრულებით.

გადართვის სისტემა სარეზერვო კვებაზე გადართვის ბრძანებას უნდა იძლეოდეს შემდეგ შემთხვევებში:

- ერთ-ერთ ფაზაზე ძაბვის დაკარგვისას
- ფაზების არასწორი თანამიმდევრობისას
- დაშვებულს ზევით ძაბვის ასიმეტრიისას
- მთავარ კვებაზე გადართვის შემთხვევაში მასზე ძაბვის აღდგენის შემდეგ.

4.3.5 მოთხოვნები

4.3.5.1 მთავარი გამანაწილებელი ფარები უნდა იყოს სტანდარტული, ბუნებრივი ჰაერით გაგრილებადი, სათანადოდ ტესტირებული და დამტკიცებული პროექტის, რომელიც უზრუნველყოფს მომსახურე პერსონალის მაქსიმალურ უსაფრთხოებას, მაქსიმალურ საექსპლუატაციო საიმედოობას და არანაკლებ 20 წლიანი სასიცოცხლო ხანგრძლივობით. პროექტი და კონსტრუქცია უნდა იყოს მარტივი, კარგად დაგეგმილი და უნდა უზრუნველყოფდეს კომპონენტებთან და ნაწილებთან ადვილ მიდგომას.

4.3.5.2 მთავარი გამანაწილებელი ფარი უნდა იყოს ფიქსირებული ტიპის, მთავარი შემომავალი გამანაწილებელი მოწყობილობა და გამომავალი გამანაწილებელი მოწყობილობაც უნდა იყოს ფიქსირებული ტიპის.

4.3.5.3 მთავარი გამანაწილებელი ფარების ნომინალური მნიშვნელობების გათვლა უნდა მოხდეს ინტეგრირებული გამანაწილებელი მოწყობილობების ძაბვის, დენის, სიხშირის და სიმეტრიული ამორთვის უნარის საფუძველზე.

4.3.5.4 ელექტრული სისტემა ყველა გამანაწილებელი ფარისათვის უნდა იყოს: 400V, 50Hz 3 ფაზიანი და ნეიტრალური, 4 ძარღვიანი, მყარად დამიწებული.

4.3.5.5 მთავარი გამანაწილებელი ფარების მოწყობილობებსა და კომპონენტებს უნდა შეეძლოთ, სრულ დატვირთვაზე, მუშაობა განუწყვეტლივ რეჟიმში. ასევე სისტემის გადახრაზე ნორმალური მნიშვნელობიდან:

- ძაბვა $\pm 10\%$
- სიხშირე $\pm 5\%$

4.3.5.6 ყველა კომპონენტი უნდა უძლებდეს დინამიურ, თერმულ და დიელექტრულ დაძაბულობას, რომელიც წარმოიქმნა მოკლე ჩართვის დენებისაგან პერსონალისათვის ზიანის მოტანის გარეშე.

5 კაბელსატარები და საკაბელო სისტემები

5.1 სამუშაოთა მოცულობა

5.1.1 მოცემული ნაწილი ითვალისწინებს საკაბელო სისტემების დამზადებას, ქარხნულ ტესტირებას, მარკირებას, შეფუთვას, ტრანსპორტირებას, ობიექტზე მოწოდებას, შენახვას, მონტაჟს, ექსპლუატაციაში გაშვებას და გადაცემას დამაკმაყოფილებელ საექსპლუატაციო პირობებში, შენობის შიგნით და გარეთ გამოყენების მიზნით.

5.1.2 მასალათა რაოდენობაში მოცემულია კაბელსატარების სიგრძე. ყველა დამხმარე მასალა, სამაგრები, საკიდები და სხვა უნდა დააკომპლექტოს კონტრაქტორმა კონკრეტული მწარმოებლის რეკომენდაციების შესაბამისად.

5.2 ხარისხის გარანტია

5.2.1 საკონტრაქტო დოკუმენტაციის მოთხოვნებთან შესაბამისობის პირობით, მისაღებ მწარმოებლებს უნდა წარმოადგენდნენ ის კომპანიები, რომლებიც სისტემატურად ჩართულნი არიან მოცემულ ნაწილში ჩამოთვლილი ყველა ტიპისა და ზომის მასალების წარმოებაში, და რომელთა პროდუქციაც წარმატებით გამოიყენება მსგავს საექსპლუატაციო პირობებში არანაკლებ ათი წლის განმავლობაში.

5.2.2 საკაბელო ხონჩების სისტემა დამზადებული უნდა იყოს ერთი მწარმოებლის მიერ და უნდა მოიცავდეს ქარხნული წარმოების ხონჩებს, ხონჩის სამაგრებს, მიერთებებს. სისტემა აღჭურვილი იქნება სხვადასხვა სამარჯვებითა და საყრდენებით, სრულყოფილი ხონჩის საყრდენების სისტემის ფორმირებისათვის.

5.2.3 საკაბელო ხონჩების სისტემა უნდა მოიცავდეს ქარხნული დამზადების შემდეგ დეტალებს: სწორ და კიბისებურ ხონჩებს, სხვადასხვა კუთხოვანი კვეთის სამარჯვებს, ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ ნალუნებს, სამაგრებს, კონექტორებს, შემაერთებელ პანელებს და ყველა საჭირო მიმაგრების დეტალებს, საყრდენების ჩათვლით.

5.3 სისტემის აღწერილობა

5.3.1 საკაბელო ხონჩები უნდა დამონტაჟდეს არმირებული გამანაწილებელი კაბელების, საინფორმაციო/მონაცემთა გადამცემი კაბელებისა და ყველა ელექტროკაბელების გასამყარებლად, რომლებიც ჩვეულებრივ არ არის დამონტაჟებული არხებში ან მილებში.

5.3.2 საკაბელო ხონჩა უნდა დამონტაჟდეს ისეთი მეთოდით, რომ ადვილი იყოს მასთან მიდგომა კაბელების დამონტაჟების მიზნით.

5.3.3 კიბისებრი საკაბელო ხონჩები უნდა დამონტაჟდეს შენობის ფასადზე ვერტიკალურად. ფასადზე გამავალი კიბისებრი საკაბელო ხონჩას მთლიანად უნდა გადაეფაროს გალვანიზებული მეტალის გარსაცმი. რომელიც შესაბამისად უნდა იყოს დამიწებული.

5.4 პროდუქცია

5.4.1 საკაბელო ხონჩები უნდა დამზადდეს მინიმუმ 1.0 მმ სისქის რბილი ფოლადისაგან. სიმაღლე უნდა იყოს 60მმ. ხონჩები, რომლებიც აჭარბებს 300მმ სიგანეს, უნდა იყოს მინიმუმ 1.5მმ სისქის.

5.4.2 ჩასასმელი ელემენტები, ბოლტები, ხრახნები, შტიფტები, და ა. შ. უნდა იყოს რბილი ფოლადის კადმიუმის შრით დაფარული/ცხლად მოთუთიებული.

5.4.3 საკაბელო ხონჩებს უნდა ჰქონდეთ ოვალური პერფორაცია. კიბისმაგვარი ხონჩების გამოყენება უნდა მოხდეს ინჟინრის მიერ მოთხოვნის და/ან დამტკიცების შედეგად.

5.4.4 ხონჩის კომპონენტები ფრთხილად უნდა იყოს დაგრაგნილი ან ფორმირებული უმნიშვნელო დასაშვები გადახრით და ყველა კიდე უნდა მომრგვალდეს. მილტუჩებს უნდა ჰქონდეთ მთლიანად მრგვალი გლუვი კიდეები.

5.5 შესრულება

5.5.1 ხონჩები უნდა იყოს ადეკვატურად გამყარებული, რათა თავიდან აიცილოთ 2 %. ზე მეტი ჩაკიდება ფიქსირებულ წერტილებს შორის.

5.5.1.1 იქ, სადაც საკაბელო ხონჩა გამიზნულია რიგელების მთელი რიგის გადასაკვეთად, ხონჩა გამყარებული უნდა იყოს ყოველი რიგელიდან, რომელსაც ის გადაკვეთს, რიგელის ქვედა ზედაპირის ქვემოდან შეკიდული ლითონის საყრდენებით მანძილი ხონჩასა და რიგელის ქვედა ზედაპირს შორის უნდა იყოს არაუმეტეს სამჯერ დიდი ყველაზე დიდი კაბელის დიამეტერზე, რომელიც უნდა განთავსდეს ხონჩაზე.

5.5.1.2 საკაბელო ხონჩის საფარები საჭიროა მხოლოდ სახურავებზე ან შენობებს გარეთ, სადაც კაბელები დამონტაჟებულია კლიმატური პირობების ზემოქმედების ქვეშ.

5.5.2 საკაბელო ხონჩების სისტემები უნდა მიერთდეს მთავარი შენობის დამიწების სისტემასთან, ინჟინრის მოთხოვნებისა და ინსტრუქციების თანახმად.

6 მავთულები და კაბელები

6.1 სამუშაოთა მოცულობა

6.1.1 მოცემული ნაწილი ითვალისწინებს დამზადებას, ქარხნულ ტესტირებას, შეფუთვის, ტრანსპორტირებას, ობიექტზე მოწოდებას, შენახვას, მონტაჟს, სამაგრებს, მარკირებას, ექსპლუატაციაში გაშვებას და გადაცემას დამაკმაყოფილებელ საექსპლუატაციო პირობებში, შენობის შიგნით და გარეთ გამოყენების მიზნით.

6.2 ხარისხის გარანტია

6.2.1 საკონტრაქტო დოკუმენტაციის მოთხოვნებთან შესაბამისობის პირობით, მისაღებ მწარმოებლებს უნდა წარმოადგენდნენ ის კომპანიები, რომლებიც სისტემატურად ჩართულნი არიან მოცემულ ნაწილში ჩამოთვლილი ყველა ტიპისა და ზომის მასალების წარმოებაში, და რომელთა პროდუქციაც წარმატებით გამოიყენება მსგავს საექსპლუატაციო პირობებში არანაკლებ ათი წლის განმავლობაში.

6.3 აღწერილობა

6.3.1 XLPE/SWA/LSOH გათვლილი კაბელები: მაგისტრალური და ქვემაგისტრალური განაწილება, გათბობის, ვენტილაციის, ლიფტების, სამზარეულოს, მართვის ფარების, ელექტროქსელებისა და ა. შ. მომარაგების ჩათვლით.

6.3.2 ყველა მრავალფაზიანი კაბელი უნდა იყოს 600/1000 ვ. იზოლაციის კლასით.

6.3.3 ყველა კაბელი ორივე ბოლოში აღჭურვილი უნდა იყოს კაბელების აღმნიშვნელი ეტიკეტებით წრედების/ქსელების იდენტიფიკაციისათვის.

6.4 კაბელების დაცვა

6.4.1.1 პლასტმასის საკაბელო მილი, უნდა დამონტაჟდეს ყველა აგურის, ბეტონის ან მსგავს კონსტრუქციაში გამავალი კაბელებისათვის, რომლებიც საშუალებას იძლევა შემდგომ მომსახურებას კონსტრუქციის დაზიანების გარეშე. მილები დამზადებული უნდა იყოს ჰალოგენის არ შემცველი მასალით.

6.4.1.2 ყველა მონაცემთა გადამცემი ან სატელეფონო კაბელი, რომელიც დამონტაჟებულია ხონჩებში მოპირკეთებული იატაკის დონიდან 2 მეტრის სიმაღლემდე, დაცული უნდა იყოს. დაცვის საშუალებები უნდა იყოს მწარმოებლის მიერ მოწოდებული მოთუთიებული ფოლადის საფარები, მინიმალური სისქით 1.5მმ. იგივე ეხება კვების კაბელებსაც.

7 საკაბელო მიწები, კოლოფები, აქსესუარები.

7.1 სამუშაოთა მოცულობა

7.1.1 მოცემული ნაწილი ითვალისწინებს დამზადებას, შეფუთვას, ტრანსპორტირებას, ობიექტზე მოწოდებას, შენახვას, მონტაჟს, მარკირებას, ექსპლუატაციაში გაშვებას და გადაცემას დამაკმაყოფილებელ საექსპლუატაციო პირობებში, შენობის შიგნით და გარეთ გამოყენების მიზნით.

7.2 ხარისხის გარანტია

7.2.1 საკონტრაქტო დოკუმენტაციის მოთხოვნებთან შესაბამისობის პირობით, მისაღებ მწარმოებლებს უნდა წარმოადგენდნენ ის კომპანიები, რომლებიც სისტემატურად ჩართულნი არიან მოცემულ ნაწილში ჩამოთვლილი ყველა ტიპისა და ზომის მასალების წარმოებაში, და რომელთა პროდუქციაც წარმატებით გამოიყენება მსგავს საექსპლუატაციო პირობებში არანაკლებ ათი წლის განმავლობაში.

7.3 პროდუქცია

7.3.1 მოთუთიებული ფოლადის დრეკადი წყალგაუმტარი მილი PVC გარსით, აღჭურვილი სათანადო და შესაფერისი წყალმედველი დრეკადი მილის მაერთებლებით დაბოლოებებზე, უნდა იქნას გამოყენებული მიერთებებზე მოტორიზებულ მოწყობილობებთან.

7.3.1.1 ყველა მილი უნდა იყოს მიერთებული კოლოფებთან და საკაბელო ღარებთან, კუთხვილიანი გამომყვანების გამოყენებით. ყველა ასეთი გამომყვანი უნდა იყოს ექვსკუთხა თავიანი, მაღალი დატვირთვის რეჟიმში მომუშავე გრძელკუთხვილიანი ტიპის.

7.3.2 გოფრირებული პოლიეთილენის მიწები (ჰალოგენის არ შემცველი).

7.3.2.1 გამოიყენება სასართულე განაწილებისთვის. კაბელსატარებიდან იატაკის საროზეტო ყუთამდე კაბელები განთავსებულია გოფრირებულ მილში.

7.3.2.2 გოფრირებული მილების განთავსების ზუსტი ადგილი (კაბელსატარიდან იატაკის საროზეტო ყუთამდე) შეირჩეს კონტრაქტორის მიერ.

7.3.2.3 ყველა მილი უნდა იყოს მიერთებული კოლოფებთან და საკაბელო ღარებთან.

7.3.3 სტანდარტული გამომყვანი და გამანაწილებელი კოლოფები

7.3.3.1 პლასმასის გამანაწილებელი კოლოფების გამოყენება უნდა მოხდეს მთელს საკაბელო არხების სისტემაზე.

პროექტის დასახელება: დედოფლისწყარო „Mini Dinn“

მისამართი: ქ. დედოფლისწყარო

7.3.3.2 ნახაზებში გამანაწილებელი კოლოფების ადგილმდებარეობა და რაოდენობა მითითებულია ზოგადად. მონტაჟის დროს შესაძლებელია გადაადგილება, დამატება.

7.3.3.3 ყველა განრჩილვის და მანაწილებელი კოლოფები უნდა იყოს ადვილად მისადგომი შენობის დასრულების შემდეგ.

8 სანათები

სანათების ვიზუალური მხარე შეთანხმდეს არქიტექტორთან.

8.1 სანათები

8.1.1 სანათი B7 და B7 აკუმულატორით.

- შენობის შიგნით.
- შიდა მონტაჟის.
- IP20 შესრულებით.
- LED სანათი.
- 12 ვატის სიმძლავრის.



8.1.2 სანათი F1.

- შენობის შიგნით.
- ჭადი
- LED სანათი.
- 8 ვატის სიმძლავრის.



8.1.3 სანათი C1.

- შენობის შიგნით.
- შიდა მონტაჟის.
- IP20 შესრულებით.
- LED სანათი
- 40 ვატის სიმძლავრის.



8.1.4 სანათი L1.

- სამუშაო მაგიდასთან
- ლენტური სანათი
- 10 ვატის სიმძლავრე.



9 სუსტი დენები

9.1 საინფორმაციო ქსელი

9.1.1 კონტრაქტორმა უნდა დაამონტაჟოს და ექსპლუატაციაში გაუშვას სისტემის პასიური ნაწილი, ყველა საჭირო კომპონენტის ჩათვლით. ადგილობრივი და მითითებული საერთაშორისო სტანდარტების თანახმად.

9.1.2 სისტემების ინსტალაცი აგანხორციელდეს ისე, რომ შესაძლებელი იყოს მომავალში სხვადასხვა ქსელური მოწყობილობების, გაყვანილობებისა და აპარატურის დამონტაჟება.

9.1.3 სპეციფიკაციებსა დამითითებულ საერთაშორისო სტანდარტებს შორის განსხვავების არსებობის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება უფრო მკაცრ მოთხოვნებს.

9.1.4 სისტემა უნდა შეესაბამებოდეს ქვემოთ აღნიშნულ სტანდარტებს:

- ISO/IEC 11801
- EN 50173
- ANSI/TIA/EIA-568-A

9.1.5 საინფორმაციო სისტემის საკომუნიკაციო ოთახში უნდა განთავსდეს 600x600 30U-იანი საკომუნიკაციო რეკი, პასიური და აქტიური აპარატურისთვის.



პროექტის დასახელება: დედოფლისწყარო „Mini Dinn“

მისამართი: ქ. დედოფლისწყარო

9.1.6 IT ოთახის გაგრილება უნდა მოხდეს სპეციალური ზუსტი რეგულირების სისტემით, რაც შესაძლებელს გახდის ოთახების გაგრილებას 20°C დან 24°C -მდე. დამატებითი სათადარიგო გამაგრილებელი აპარატი ასევე უზრუნველყოფილი უნდა იყოს.

9.1.7 რეკი აღჭურვილი უნდა იყოს ადგილობრივი გაგრილების სისტემით.



9.1.8 ელექტრო ენერგია სასერვერო ოთახებს მიეწოდება გენერატორის გამანაწილებელი ფარებიდან, რომლებიც გამყარებულია ცენტრალური UPS-ით.

9.1.9 რეკში უნდა დამონტაჟდეს ელექტრო ენერგიის გამანაწილებელი 2 PDU მოდული, აღჭურვილი ძაბვის მოვარდნისა და ვარდნის დამცავი ფილტრით.

9.1.10 კაბელირებისთვის ვიყენებთ F/UTP CAT6 AWG23 ტიპის კაბელს.



9.1.11 შესრულებული სამუშაოების დასრულების შემდეგ შემსრულებელი ვალდებულია შეასრულოს თითოეული გამოყენებული კაბელის სრული ტესტ-რეპორტი. შესაბამისი საინფორმაციო ტიპის დოკუმენტაციის წარდგენით.

9.1.12 აღნიშნული სატესტო დოკუმენტაცია ითვლება საგარანტიო დოკუმენტად შემსრულებლის მხრიდან.

9.1.13 პროექტის მიხედვით ჰორიზონტალური კაბელირების მაქსიმალური სიგრძე (პაჩკორდების ჩათვლით) არ აღემატება 90 მეტრს. დაბოლოებისთვის განსაზღვრულია RJ45 ტიპის როზეტი.

9.1.14 ყველა ჰორიზონტალური და მაგისტრალური საკაბელო სეგმენტები უნდა იყოს უწყვეტი. კაბელის გადაერთება ხდება მხოლოდ პაჩპანელში და საკომუნიკაციო როზეტში. დამატებითი შემაერთებლები არ დაიშვება.

პროექტის დასახელება: დედოფლისწყარო „Mini Dinn“

მისამართი: ქ. დედოფლისწყარო


9.1.15 საკომუნიკაციო რეკებში გამოყენებულია CAT6 სტანდარტის 24 პორტიან პაჩპანელებს.

9.1.16 პაჩპანელზე მითითებული უნდა იყოს კონკრეტული ტიპის სტანდარტის დასახელება

9.1.17 ჰორიზონტალური და მაგისტრალური საკაბელო სეგმენტები გაყვანილი უნდა იქნას სიმეტრიული ეკრანირებული კაბელით 100 ომის ტალღური დამცავით, არანაკლებ მე-6 კატეგორიისა, სერთიფიცირებული და უნდა შეესაბამებოდეს ISO/11801 ან EN50173 სტანდარტებს, გავლილი უნდა ჰქონდეს ტესტი წვაზე (IEC 60332-3) ტესტი წვის დროს ბოლის გამოყოფაზე (IEC 60332-3) და ტესტი ჰალოგენების გამოყოფაზე (IEC 60754).

9.1.18 ძალოვანი და საინფორმაციო კაბელების პარალელური გაყვანის შემთხვევაში უნდა დაშვებულდეს EN50174-2 სტანდარტის მოთხოვნები (ელექტრო მაგნიტური შეთავსება).

9.1.19 დაბოლოებისთვის განსაზღვრულია CAT6 RJ45 ტიპის როზეტი.



9.1.20 დაერთების ადგილზე ვიყენებთ დაერთების სტანდარტს EIA/TIA-568B სტანდარტს

9.1.21 შენობის დერეფნებში გამოყენებულია Wi-Fi წვდომის წერტილები.

ტიპი	Dual radio 4x4 MIMO 802.11ac
WiFi სტანდარტებისა და პროტოკოლების მხარდაჭერა	802.11a/b/g/n/ac , WEP,WPA, WPA2, WPA-PSK,WPA-802.1X
კლიენტები	არანაკლებ 200 კლიენტი per radio
ანტენები	არანაკლებ 8x Integrated dual-band omnidirectional antenna 3.5 dBi (2.4 GHz), 5 dBi (5 GHz)
პორტები	2x10/100/1000BASE-T autosensing (RJ-45), 1x USB 2.0
გამტარობა	5 GHz არანაკლებ 1700 Mbps, 2.4 GHz არანაკლებ 600 Mbps
კვება	802.3at PoE, 802.3af PoE
სამაგრის ტიპი	ჭერის
მართვა	კონტროლირით და დამოუკიდებლად სხვა წვდომის წერტილების დაერთების ფუნქციონალით

9.1.22 ორგანიზება უნდა გაუკეთდეს სამუშაოებს ისე, რომ არ შეფერხდეს სხვა სამუშაოები

9.1.23 კონტრაქტორმა უნდა უზრუნველყოს ვიზუალურად აკურატული და ხარისხიანი მონტაჟი. გამოყენებული უნდა იყვნენ გამოცდილებისა და შესაბამისი ცოდნის მქონე

სპეციალისტები რომელთაც გააჩნიათ მწარმოებლის შესაბამის აპარატურაზე მუშაობის ლიცენზია.


- 9.1.24 კაბელები უნდა იყოს მარკირებული ძნელად შლადი მყვირალა ფერის მარკერით. კაბელები მოთავსებული უნდა იყოს კაბელსატარებზე.
- 9.1.25 კაბელსატარებიდან გადასვლები კედლებში და შემდგომ როზეტებში უნდა მოხდეს ვერტიკალურად ან ჰორიზონტალურად. ყველა ჩამოსვლა უნდა იყოს ვერტიკალური გოფირებული მილების გამოყენებით.
- 9.1.26 გოფირებული მილების განთავსების ზუსტი ადგილი (კაბელსატარიდან იატაკის საროზეტო ყუთამდე) შეირჩეს კონტრაქტორის მიერ.
- 9.1.27 ყველა მილი უნდა იყოს მიერთებული კოლოფებთან და საკაბელო ღარებთან.
- 9.1.28 ერთეული კაბელების შეკიდულ ჭერში გაყვანის შემთხვევაში აუცილებელია დამაგრდეს სამაგრებით (მაგ. კაუჭებით ან უნაგირებით). შეკიდული ჭერის სამაგრების გამოყენება კაბელების სამაგრებად დაუშვებელია.
- 9.1.29 კაბელები რომ არ ჩამოეკიდოს საჭიროა დამაგრდეს ყოველ 1 ან 1,5 მეტრში, მიუხედავად იმისა კორობში არის თუ არა ჩაწყობილი. გრძელი ვერტიკალური გაყვანილობის შემთხვევაში კაბელები (1,5 მ-ზე მეტი) უნდა დამაგრდეს სპეციალური სამაგრებით.
- 9.1.30 კომპიუტერები (მომხმარებლის სამუშაო სადგურები, სერვერები და ა.შ.) მიერთებული უნდა იქნას ინფორმაციულ როზეტებთან მაკავშირებელი პაჩკორდით. მაკავშირებელი პაჩკორდის სიგრძე არ უნდა აღემატებოდეს 3 მეტრს.
- 9.1.31 ყველა, ჰორიზონტალური და მაგისტრალური საკაბელო სეგმენტები უნდა იყოს უწყვეტი. დამატებითი შემაერთებლები ან გადაბმები არ დაიშვება.
- 9.1.32 სტრუქტურირებული საკაბელო სისტემების ყველა ელემენტი უნდა იყოს მარკირებული. საკაბელო ქსელის გაყვანილობა მითითებული მარკირებით აღბეჭდილი უნდა იყოს სასართულე გეგმებზე და სქემატურ განშლაზე.
- 9.1.33 საკომუნიკაციო შახტებში, საკომუნიკაციო ვერტიკალური ღიობებში და ყველა იმ სპეციფიურ ადგილებში, სადაც შესაძლებლობა იქნება საკომუნიკაციო კაბელზე ფიზიკური ან ელექტრომაგნიტური ზემოქმედება, ყველა საინფორმაციო მიერთებამ უნდა გაიაროს სპეციალური გაყვანილობის სხონჩებში ან დამცავ გარსში, რათა მოხდეს მაქსიმალური დაცვა და ასევე შემცირდეს დაზიანების შესაძლებლობა.
- 9.1.34 შესრულებული სამუშაოების ხარისხის გარანტად, უნდა განხორციელდეს ჩადებული კაბელების საბოლოო ტესტირება სპეციალური ტესტერით, რომელიც იძლევა სრულ ინფორმაციას კონკრეტულ კაბელზე.

პროექტის დასახელება: დედოფლისწყარო „Mini Dinn“

მისამართი: ქ. დედოფლისწყარო

9.1.35 დოკუმენტში უნდა ჩანდეს პარამეტრები: გამტარუნარიანობაზე, სიხშირეზე, დაზიანებულ გამტარზე და ა.შ.

9.1.36 კონტრაქტორმა უნდა უზრუნველყოს სისტემის თითოეული კაბელის ტესტ-პარამეტრების საბუთის წარდგენა.



№	User		Feeding Board	cosφ	Installed	ks	Demand	faza	Vol	Power	Cur	Switchgear					CABLE									I _{kz} (kA)
	Load Name	Load Description			Power (kW)		Power (kW)		tage (v)	(kva)	rent (A)	Rez	Uzer Switch		Feeding Circuit Breaker		Instal Type	Corre ction	Length (m)	Cable Section			TIPE	I _z	MAX ΔU%	
1	2	4	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30	31	32	33	34	35
1	GMDB.1	გენერატორის ფარი	TR.01	0.80	60.39	1.00	60.39	3	380	75.49	114.7	10%	Switch	3x160 A	MCCB	3x160-144 A	D2	1.04	50	4x50+25	N2XH	CU-XLPE/XLPE	159.12 A	3	0.81	8.21
2	GMDB.1	გენერატორის ფარი	GEN.01	0.80	60.39	1.00	60.39	3	380	75.49	114.7	10%	Switch	3x160 A	MCCB	3x160-144 A	D2	1.04	50	4x50+25	N2XH	CU-XLPE/XLPE	159.12 A	2	0.81	8.21
4	MDB.1	მთავარი გამ.ფარი	GMDB.1	0.80	75.49	0.80	60.39	3	380	75.49	114.7	10%	Switch	3x160 A	MCCB	3x160-144 A	E	0.80	10	4x50+25	N2XH	CU-XLPE/XLPE	161.6 A	2	0.16	7.43
5	UDB.1	UPS-ის ფარი	MDB.1	0.80	22.86	0.80	18.29	3	380	22.86	34.7	25%	Switch	3x63 A	MCCB	3x50 A	E	0.80	5	5x10	N2XH	CU-XLPE/XLPE	60 A	2	0.14	6.08
6	UDB.1	UPS-ის ფარი	UPS.1	0.80	22.86	0.80	18.29	3	380	22.86	34.7	25%	Switch	3x63 A	MCCB	3x50 A	E	0.80	5	5x10	N2XH	CU-XLPE/XLPE	60 A	3	0.14	11.50
7	UPS.1	UPS	MDB.1	0.80	18.29	1.00	18.29	3	380	22.86	34.7	25%	Switch	3x63 A	MCCB	3x50 A	E	0.80	5	5x10	N2XH	CU-XLPE/XLPE	60 A	3	0.14	6.08

DISTRIBUTION BOARD MDB.1	
Location Area	0 სართული. 0.09 ოთახი
Servis Area	0, 1 სართულები
Feeding Circuit Breaker	3x160-144 A
Feeding cable	4x50+25 N2XH
User Circuit Breaker	3x160 A
COS ϕ	0.80
Short-circuit current (kA)	7.43

	Power (kW)	Current (A)
Installed	57.20	108.47
Simulation (ks)	0.80	0.80
Demand	45.76	86.78

№	BREAKER №	Line Name	Load Name	DESCRIPTION	faza	Voltage (v)	Cos ϕ	LOAD POWER (W)				LOAD CURRENT (A)			ELCB	BREAKER	CABLE								
								sum	L1	L2	L3	L1	L2	L3			Leng th	Instal Method	Corre ction	Wire Size (mm ²)	TYPE		Iz	MAX ΔU%	ΔU%
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26
1	MDB.1	S2:01	როზეტები - 0.01, 0.02, 0.07-0.11	SOCKET	1	220	0.80	900	900			5.11				1P/16A	105	C	0.6	3x2.5	N2XH	CU-XLPE/XLPE	19.8 A	3.0	2.74
2	MDB.1	S2:02	როზეტები - 0.03-0.06	SOCKET	1	220	0.80	500		500			2.84		2x16a 30ma	1P/16A	55	C	0.6	3x2.5	N2XH	CU-XLPE/XLPE	19.8 A	3.0	0.80
3	MDB.1	S2:03	წყლის დისპენსერი - 0.03	SOCKET	1	220	0.80	1,500			1,500			8.52	2x16a 30ma	1P/16A	30	C	0.6	3x2.5	N2XH	CU-XLPE/XLPE	19.8 A	3.0	1.30
4	MDB.1	S2:04	მადუდარა - 0.03	SOCKET	1	220	0.80	1,500	1,500			8.52			2x16a 30ma	1P/16A	20	C	0.6	3x2.5	N2XH	CU-XLPE/XLPE	19.8 A	3.0	0.87
5	MDB.1	S2:05	თერმექსი - 0.03	SOCKET	1	220	0.80	1,500		1,500			8.52		2x16a 30ma	1P/16A	20	C	0.6	3x2.5	N2XH	CU-XLPE/XLPE	19.8 A	3.0	0.87
6	MDB.1	S2:06	მიკროტალღური - 0.03	SOCKET	1	220	0.80	1,500			1,500			8.52	2x16a 30ma	1P/16A	20	C	0.6	3x2.5	N2XH	CU-XLPE/XLPE	19.8 A	3.0	0.87
7	MDB.1	S2:07	როზეტები - 1.02, 1.08-1.10	SOCKET	1	220	0.80	400	400			2.27				1P/16A	50	C	0.6	3x2.5	N2XH	CU-XLPE/XLPE	19.8 A	3.0	0.58
8	MDB.1	S2:08	წყლის დისპენსერი - 1.02	SOCKET	1	220	0.80	1,000		1,000			5.68		2x16a 30ma	1P/16A	25	C	0.6	3x2.5	N2XH	CU-XLPE/XLPE	19.8 A	3.0	0.72
9	MDB.1	S2:09	როზეტები - 1.03-1.06	SOCKET	1	220	0.80	400			400			2.27		1P/16A	55	C	0.6	3x2.5	N2XH	CU-XLPE/XLPE	19.8 A	3.0	0.64
10	MDB.1	S2:10	თერმორეგულატორი	SOCKET	1	220	0.80	300	300			1.70			2x16a 30ma	1P/16A	25	C	0.6	3x2.5	N2XH	CU-XLPE/XLPE	19.8 A	3.0	0.22
11	MDB.1	S2:11	თერმორეგულატორი	SOCKET	1	220	0.80	1,800		1,800			10.23		2x16a 30ma	1P/16A	20	C	0.6	3x2.5	N2XH	CU-XLPE/XLPE	19.8 A	3.0	1.04
12	MDB.1	S2:12	თერმორეგულატორი	SOCKET	1	220	0.80	300			300			1.70	2x16a 30ma	1P/16A	15	C	0.6	3x2.5	N2XH	CU-XLPE/XLPE	19.8 A	3.0	0.13
13	MDB.1	S2:13	თერმორეგულატორი	SOCKET	1	220	0.80	300	300			1.70			2x16a 30ma	1P/16A	30	C	0.6	3x2.5	N2XH	CU-XLPE/XLPE	19.8 A	3.0	0.26
14	MDB.1	S2:14	თერმორეგულატორი	SOCKET	1	220	0.80	300		300			1.70		2x16a 30ma	1P/16A	25	C	0.6	3x2.5	N2XH	CU-XLPE/XLPE	19.8 A	3.0	0.22
15	MDB.1	S2:15	თერმორეგულატორი	SOCKET	1	220	0.80	300			300			1.70	2x16a 30ma	1P/16A	35	C	0.6	3x2.5	N2XH	CU-XLPE/XLPE	19.8 A	3.0	0.30
16	MDB.1	S2:16	თერმორეგულატორი	SOCKET	1	220	0.80	300	300			1.70			2x16a 30ma	1P/16A	40	C	0.6	3x2.5	N2XH	CU-XLPE/XLPE	19.8 A	3.0	0.35
17	MDB.1	rezerve	რეზერვი	SOCKET	1	220	0.80	0		0			0.00			1P/16A	0	C	0.6	3x2.5	N2XH	CU-XLPE/XLPE	19.8 A	3.0	0.00
18	MDB.1	rezerve	რეზერვი	SOCKET	1	220	0.80	0			0			0.00		1P/16A	0	C	0.6	3x2.5	N2XH	CU-XLPE/XLPE	19.8 A	3.0	0.00
19	MDB.1	V1:01	სავენტილაციო დანადგარი	HVAC UNIT	3	380	0.80	14,000	4,667	4,667	4,667	26.59	26.59	26.59		3P/32A	35	C	0.8	5x6	N2XH	CU-XLPE/XLPE	41.6 A	3.0	0.99
20	MDB.1	V1:02	საჰაერო ფარდა	HVAC UNIT	3	380	0.80	12,000	4,000	4,000	4,000	22.79	22.79	22.79		3P/32A	20	C	0.8	5x6	N2XH	CU-XLPE/XLPE	41.6 A	3.0	0.49
21	MDB.1	rezerve	რეზერვი	HVAC UNIT	3	380	0.80	0	0	0	0	0.00	0.00	0.00		3P/16A	0	C	0.6	5x2.5	N2XH	CU-XLPE/XLPE	18 A	3.0	0.00
22	MDB.1	V2:01	ფანკოილები	HVAC UNIT	1	220	0.80	600	600			3.41				1P/16A	15	C	0.6	3x2.5	N2XH	CU-XLPE/XLPE	19.8 A	3.0	0.26
23	MDB.1	V2:02	კედლის რეკუპერატორი	HVAC UNIT	1	220	0.80	1,000		1,000			5.68			1P/16A	25	C	0.6	3x2.5	N2XH	CU-XLPE/XLPE	19.8 A	3.0	0.72
24	MDB.1	V2:03	ვენტილატორი	HVAC UNIT	1	220	0.80	200			200			1.14		1P/16A	20	C	0.6	3x2.5	N2XH	CU-XLPE/XLPE	19.8 A	3.0	0.12

№	BREAKER №	Line Name	Load Name	DESCRIPTION	faza	Voltage (v)	Cos ϕ	LOAD POWER (W)				LOAD CURRENT (A)			ELCB	BREAKER	CABLE									
								sum	L1	L2	L3	L1	L2	L3			Length	Instal Method	Correction	Wire Size (mm ²)	TYPE		Iz	MAX ΔU%	ΔU%	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23		24	25	26
25	MDB.1	V2:04	სავენტილაციო დანადგარი	HVAC UNIT	1	220	0.80	1,000	1,000			5.68				1P/16A	20	C	0.6	3x2.5	N2XH	CU-XLPE/XLPE	19.8 A	3.0	0.58	
26	MDB.1	V2:05	ელექტრო ტენი	HVAC UNIT	1	220	0.80	4,000		4,000			22.73			1P/32A	20	C	0.8	3x4	N2XH	CU-XLPE/XLPE	36 A	3.0	1.45	
27	MDB.1	V2:06	კონდიციონერი	HVAC UNIT	1	220	0.80	1,200			1,200			6.82		1P/16A	30	C	0.6	3x2.5	N2XH	CU-XLPE/XLPE	19.8 A	3.0	1.04	
28	MDB.1	V2:07	ფანკოილები	HVAC UNIT	1	220	0.80	400	400			2.27				1P/16A	35	C	0.6	3x2.5	N2XH	CU-XLPE/XLPE	19.8 A	3.0	0.41	
29	MDB.1	V2:08	კონდიციონერის შიდა ბლოკი	HVAC UNIT	1	220	0.80	200		200			1.14			1P/16A	30	C	0.6	3x2.5	N2XH	CU-XLPE/XLPE	19.8 A	3.0	0.17	
30	MDB.1	V2:09	საკონტროლო ყუთი	HVAC UNIT	1	220	0.80	2,000			2,000			11.36		1P/16A	10	C	0.6	3x2.5	N2XH	CU-XLPE/XLPE	19.8 A	3.0	0.58	
31	MDB.1	V2:10	ფანკოილები	HVAC UNIT	1	220	0.80	600	600			3.41				1P/16A	30	C	0.6	3x2.5	N2XH	CU-XLPE/XLPE	19.8 A	3.0	0.52	
32	MDB.1	V2:11	ფანკოილები	HVAC UNIT	1	220	0.80	400		400			2.27			1P/16A	25	C	0.6	3x2.5	N2XH	CU-XLPE/XLPE	19.8 A	3.0	0.29	
33	MDB.1	V2:12	ფანკოილები	HVAC UNIT	1	220	0.80	600			600			3.41		1P/16A	30	C	0.6	3x2.5	N2XH	CU-XLPE/XLPE	19.8 A	3.0	0.52	
34	MDB.1	V2:13	ელექტრო ტენი	HVAC UNIT	1	220	0.80	4,000	4,000			22.73				1P/32A	25	C	0.8	3x4	N2XH	CU-XLPE/XLPE	36 A	3.0	1.81	
35	MDB.1	V2:14	საკონტროლო ყუთი	HVAC UNIT	1	220	0.80	2,000		2,000			11.36			1P/16A	20	C	0.6	3x2.5	N2XH	CU-XLPE/XLPE	19.8 A	3.0	1.16	
36	MDB.1	V2:15	ვენტილატორი	HVAC UNIT	1	220	0.80	200			200			1.14		1P/16A	20	C	0.6	3x2.5	N2XH	CU-XLPE/XLPE	19.8 A	3.0	0.12	
								57,200	18,967	21,367	16,867	107.9	121.5	96.0												

DISTRIBUTION BOARD UDB.1

Location Area

Servis Area

Feeding Circuit Breaker 3x50 A

Feeding cable 5x10 N2XH

